# სახალხო გაზეთი

№ 855 ორშაბათი 25 მარტი 1913 წ. № 855

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

140

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე №№ ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

„**სახალხო გაზეთი**"-ს რედაქცია მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებსა და ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, საღამოს 11 საათსა და 35 წუთზე, ბათომში გარდაიცვალა გაზეთის მუდმივი თანამშრომელი

## არჩილ ჯორჯაძე.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალავენ დიდუბეში.

---

**თამარ კონსტანტინეს ასული და ალბრეხტ ლიუდვიგის ძე შრეიბერნი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 მარტს ქალაქ ბათომში გარდაიცვალა პირველის ძმა და მეორის (ცოლის ძმა

## არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალვენ დიდუბეში.

---

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** მწუხარებით აცხადებს, რომ ბათომში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი

## არჩილ ჯორჯაძე.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალავენ დიდუბეში. 1120.

---

**ამხანაგები და მეგობრები** აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ 21 მარტს, ღამის 11 საათსა და 35 წუთზე ქ. ბათომში გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი

## არჩილ ჯორჯაძე.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალავენ დიდუბეში.

---

**„სახალხო გაზეთ"-ის ასოთ-ამწყობნი და სტამბის მომუშავენი** გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, რომ ბათომში უდროოდ გარდაიცვალა 21 მარტს, ღამის 11 საათსა და 35 წუთზე, ჩვენი საზოგადო მოღვაწე და მოწინავე მოაზროვნე პუბლიცისტი

## არჩილ ჯორჯაძე.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალავენ დიდუბეში.

---

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო** აუწყებს საზოგადოების წევრებს ძვირფასის საზოგადო მოღვაწის და პუბლიცისტის

## არჩილ ჯორჯაძის

გარდაცვალებას. ცხედარს ბათომიდან ტფილისის რკინის გზის სადგურზე ჩამოასვენებენ დღეს, საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა მოხდება, 25 მარტს, დიდუბეში. 1121

---

**ქართველ მუშათა ჯგუფი** მწუხარებით აუწყებს ამხანაგ-თანამგრძნობ მუშებს სასიქადულო მამულიშვილისა და მასწავლებლის

## არჩილ ჯორჯაძის

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ორშაბათს, 25 მარტს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, რის შემდეგაც ცხედარს დაკრძალავენ დიდუბეში.

---

**წვრილ ვაჭართა მთავარი კომიტეტი** აუწყებს საზოგადოებას, რომ უდროოდ გარდაცვალებულ პუბლიცისტის

## არჩილ ჯორჯაძის

დაკრძალვა, ქვაშვეთის ეკლესიაში წირვის და პანაშვიდის გადახდის შემდეგ, დიდუბეში მოხდება. 182

---

**სახალხო სახლთან არსებული ქართული წრე** აცხადებს, რომ განსვენებულ პუბლიცისტის

## არჩილ ჯორჯაძის.

ცხედარს დაკრძალავენ დღეს, დიდუბეში.

---

### ტფილისი, 25 მარტი, 1913 წ.

გაგვითენდა უბედური დღე: ჩვენი უძვირფასესი ამხანაგი, ჩვენი დაუვიწყარი არჩილი მიწას უნდა მივაბაროთ!...

ვერავითარი სიტყვა ვერ გამოსთქვამს იმ მწუხარებას, რომელიც ავსებს უდროოდ მიცვალებულის ამხანაგთა სულსა და გულს. დავკარგეთ ჩვენის სულისკვეთების აუკეთესო გამომხატველი, დავკარგეთ ხელმძღვანელი, დავკარგეთ მედგარი ბელადი, დავკარგეთ საოცრად ძლიერის სულის ადამიანი, რომელიც, უკვე სულთმობრძავი, ძალასა ჰპოვებდა ჩვენის გამხნევებისა და ჩვენის ხშირის სასოწარკვეთილების განფანტვისათვის.

მერე, როდის მოხდა ეს, როდის დაგვატყდა თავს ეს უბედურება?! ნახეთ ბედის სიმუხთლე: მაღალისა და მეტად რთულის ბუნების პატრონი, არჩილი, დიდხანს, ახალ-გაზდობის რიჟრაჟიდან დაწყებული, სიმართლის ძიებაში იყო და სხვა-და-სხვა იდეის ზედგავლენას განიცდიდა; დადგა დრო, როცა მოსძებნა დიდებული იდეალი: ქართველ ერის ეროვნული და სოციალური განახლება და დაიწყო ენერგიული გონებრივი და პრაქტიკული მუშაობა ამ იდეალის რეალურად განხორციელებისათვის; მომწიფდა დიდი ნიჭი, შემუშავდა და გამაგრდა მებრძოლი გმირი და სწორედ მაშინ მოგვტაცა ულმობელმა ბედმა, მოგვტაცა უმოწყალოდ, ჯერ ახალგაზდა ადამიანი! ამას ვტირით ჩვენ, მისი ამხანაგები, მისი მახლობელნი, მოწმენი იმის ძლიერის ნიჭის თანდათანის ზრდისა, იმის ძალების თანდათანის განვითარებისა,—ვტირით, რადგან ვიცით, რომ ბევრი მაღალი აზრი, ბევრი კეთილშობილური მისწრაფება წაიღო თან, რადგან ვიცით, რომ კიდევ ბევრის შემძლე ადამიანს ვესალმებით დღეს საუკუნო გამოსალმებით.

უცბად დაიწვა ლამპარი, რომელიც იწვოდა ჩვენთვის საყვარელ სამშობლოს სადიდებლადა და საკეთილდღეოდ; მაგრამ მოკლე ხანშიაც დიდი ღვაწლი და ამაგი დასდო მას დაუვიწყარმა არჩილმა. დღეს დღეობით შეუძლებელია ამ დიდის ამაგის ღირსეული და სრული გათვალისწინება. როცა მის მიერ დასახულ იდეალის განხორციელებისათვის დაწყებული ბრძოლა უმწვერვალესობამდე მივა, როცა მთელი ერი ჩაებმება თავის უფლებათა დამკვიდრებისთვის ბრძოლაში, მაშინ ნათლად განიზომება არჩილის სიდიადე, მაშინ სავსებით დაფასდება მისი ღვაწლიც. ამის თავდები და მაჩვენებელი ისიც არის, რომ დღესაც მთელი შეგნებული საქართველო, განურჩევლად მიმართულებისა, დასტირის საფლავს, რომელშიაც საუკუნო განსვენებასა და მოსვენებას ეძლევა სიცოცხლეში მოუსვენარი, უდროოდ გარდაცვალებული, გმირი...

განისვენე, ძვირფასო არჩილ! შენი დაობლებული ამხანაგნი და თანამოაზრენი, გამოუთქმელის მწუხარებით შეპყრობილნი, გარს ახვევიან შენს კუბოს და სიტყვას გაძლევენ: შეუდრეკელად განაგრძონ იმ ეკლიან გზაზე წინსვლა, რომელსაც შენი მაღალი გონება და სპეტაკი სული გვიკვლევდა. წმინდა იყოს შენი საფლავი და საუკუნო შენი ხსენება. მშვიდობით, უძვირფასესო ამხანაგო, და დაუვიწყარო გმირო...

---

## დასაფლავების წეს-რიგი

წირვა დაიწყება დილის 9 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვისა და წესის აგების შემდეგ, ცხედარს გამოასვენებენ ამხანაგები და „სახალხო გაზეთის" თანამშრომლები. პროცესია გაემართება ლორის-მელიქოვის ქუჩით, იქიდან სასახლის ქუჩით, სადაც „სახალხო გაზეთის" რედაქციის სადგომის წინ გადახდილი იქნება მცირე პანაშვიდი. შემდეგ გოლოვინის ქუჩით პროცესია გაივლის ვერის ხიდზე და მიხეილის ქუჩით მიასვენებენ დიდუბის ეკლესიის სასაფლაოზე, მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ, წარმოთქმულ იქნება სიტყვები, რომელთა რიცხვი წინადვე განსაზღვრულია სამგლოვიარო კომისიისაგან. ამის გამო მსურველთ უნდა მიმართონ კომისიის წევრს დავით გ. ჯორჯაძეს.

## არჩილ ჯორჯაძის გამოსვენება ბათომიდან ტფილისამდე.

### საგანგებო დეპეშები.

**სამტრედია.** 24 მარტი, დილის 10 საათზე. არჩილის გვამს თან ახლავენ: სვ. მდივანი, ვლ. რუხაძე, ის. საბახტარაშვილი—ბათუმიდან, აგრეთვე ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოსულნი: სილ. ხუნდაძე, დავ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და კიტა აბაშიძე.

ყველა სადგურზე დიდძალი ხალხი ეგებება ძვირფასს ცხედარს. სუფსაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჯუმათში კუბო გვირგვინით შეამკეს. ლანჩხუთში სიტყვა წარმოსთქვა იმნაძემ.

**ზესტაფონი.** სამტრედიაში მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა მღვ. წულაძემ. რიონის სადგურზე ცხედარს მიეგება ქუთაისიდან მოსული მრავალრიცხოვანი საზოგადოება განურჩევლად წრისა და წოდების, აგრეთვე უთვალავი მოსწავლე ახალგაზდობა, სადგურზე პანაშვიდი გადაიხადეს. კუბოს დაჰფინეს დიდძალი ყვავილები, ცხედარი მწვანეშია დაფლული.

გუშინ, საღამოს ექვს საათზე, მოვიდა ტფილისის სადგურზე მატარებელი და სამგლოვიარო ვაგონით მოასვენეს გვამი უდროოთ გარდაცვალებულის არჩილ ჯორჯაძისა. კუბო შემკული იყო გვირგვინებითა და ყვავილებით. ბათუმიდან და ქუთაისიდან წამოსულთ გზა და გზა სხვა თანამგრძნობნიც მოჰმატებიან. გზაში ყველა მთავარ სადგურზე ბევრი ხალხი უხვდებოდა ტფილისის სადგურზე დიდძალი ხალხი მიეგება. მცირე პანაშვიდის შემდეგ გვამი წაასვენეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გადახდილი იქმნა პანაშვიდი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო.

### ცნობები.

**დღეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ დიდუბეში, სადაც მოხდება დაკრძალვა. წირვის დასაწყისი დილის 9 საათზე.**

23 მარტს, საღამოს ხუთს საათზე, ძვირფასი არჩილის ცხედარი ბათომიდან გამოასვენეს. გამოსვენებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება, განურჩევლად წოდებისა. ბევრმა ცხედარი ტფილისამდე გამოაცილა.

გუშინ სამეურნეო ბანკის წლიური კრება დაიწყო. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას და დაადგინა: გვირგვინის ნაცვლად, ფული გადასდოს განსვენებულის ძეგლის ასაგებად.

ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობას დაუდგენია: ნაცვლად გვირგვინისა განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის კუბოს შესამკობლად, ასი მანეთი გადასდოს განსვენებულის ძეგლის ასაგებ თანხისთვის.

ნინო და დავით ჯორჯაძენი, გვირგვინის მაგივრად, სწირავენ 25 მან. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ სასადილოს.

არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო, შაბათს, 23 მარტს, მოწვეულ იქმნა ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგენების წრის გამგეობის საგანგებო კრება, რის შემდეგაც ფეხზე ადგომით პატივი სცეს მის ხსოვნას და დაადგინეს: დაესწროს მთელი წრე დაკრძალვას, იგალობოს წრესთან არსებულმა შემდგარმა გუნდმა, დაევალოს წრის სცენის მოყვარე ქალებს სამგლოვიარო პროცესიის დროს დააბნიოს გზა და გზა სუროსი და ბზის ტოტები და სიტყვა წარმოსთქვას გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა.

ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის ქართველმა მოსწავლეებმა გადასწყვიტეს გვირგვინის ნაცვლად გადასდონ ფული არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებად.

**თელავი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო.

24 მარტს, ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულმა წრემ, აწ განსვენებულის ცნობილ პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის დაკრძალვაში.

გამგეობამ ერთხმად გადასწყვიტა: მოათავსოს „სახალხო გაზეთში" სამგლოვიარო წერილი და, ნიშნად განსვენებულის ღრმა პატივისცემისა, გვირგვინის მაგივრად, გადასცეს წერა-კითხვის საზოგადოებას 10 მან. გარდა ამისა გამგეობამ დაადგინა დაესწროს განსვენებულს მოსვენებაზე და დაკრძალვაზე.

ტფილისის ქალთა მეოთხე გიმნაზიის ქართველმა მოსწავლეებმა გადასწყვიტეს, გვირგვინის ნაცვლად, გადასდონ ფული არჩილ ჯორჯაძის ძეგლის ასაგებ ფონდისათვის.

რიონის სადგურისაკენ დიდი ხალხი აპირებს გამგზავრებას. რკინის გზის სადგურის გამგეს წინადადება მისცეს მატარებლის შემადგენლობა გაამრავლოს.

## უკანასკნელი სალამი!

ტკბილო მასწავლებელო!

შენ, რომელიც მტკიცე იმედის შიკრიკად მოევლინე მწუხრის ბურუსში გახვეულ ერის სულს და ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა მკვეთრი სიტყვით ადამიანურ ცხოვრებისკენ მოუხმე უგზო-უკვლოდ მოარულს უბირ თანამემამულეთ,

შენ, რომელმაც ღირსეული სამშობლოს უღირს შვილებს ცდომის რიდე თვალთაგან აჰხადე დ საცოდადებულს მათ ბაგეს, ვით მოსიყვარულე დედამ, ენა ამოადგმევინე

დღეს, როდესაც შენისავე ძიძაობით ვისწავლეთ ეს ენა, რომლითაც უნდა ლაპარაკობდეს ქართველი ჭეშმარიტი მოქალაქე და მამულიშვილი

შემინდე, თუ უკანასკნელ დროს, გამოთხოვების საშინელ ჟამს, გითხრა მხოლოდ:

მშვიდობით!

ნეტარი მომავლის გარიჟრაჟის დროს ვცილდები, მეგობარო!

ჯერ კიდევ შორსაა ის ნანატრი, სიმართლითა და ჭეშმარიტებით გასხივოსნებული დღე, რომელსაც შეუფერხებელი მძლეობით ესწრაფოდა ღვთისნიერი სული შენი...

შორს არის.. მაგრამ, განა ჩაჰქრება სამშობლოს გაპარტახებულ სამსხვერპლოზე ანთებული წმინდა კანდელი, რომელსაც უშრეტ წყაროდ დაუდე შენი ტკბილი სული და ნაზი სხეული!..

არა! არაოდეს!

ის გაგვინათებს, ძვირფასო წინამძღვარო, ცხოვრების ეკალნარში მიმავალ, მიხვეულ-მოხვეულ, ბილიკს, ვით ოდესმე უდაბნოში მოარულს რჩეულ ერს ცეცხლის უქრობელი სვეტი.

ის გაგვინათებს...

მაგრამ, ვაი, რომ შენი საყვარელი თანამოაზრენი ვეღარ მოისმენენ უერთგულესი მედროშის მხნე ძახილს, ძალთა მოსაკრებად და რაზმთა დასამწკრივებლად.

იგინი თვალცრემლიანი დაჰყურებენ დღეს შენს გაცივებულ გვამს და უკანასკნელად გეუბნებიან, უკანასკნელ სალამს:

მშვიდობით!

ა. ჭუმბაძე.

## არჩილ ჯორჯაძე და მისი მნიშვნელობა

დღეს, როდესაც ძვირფასი ცხედარის ჯერაც არ გაციებულა, ძნელია ყოველ-მხრივი და ღრმა დაფასება მისი მოღვაწეობისა. უეჭველია გავლის ხანი, დამშვიდებული მკვლევარი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა არჩილ ჯორჯაძის ნაწერებს ჩაუჯდება და ბევრს რასმე საყურადღებოს აღმოაჩენს. მიუხედავად ამისა, დღესაც შეიძლება აღნუსხვა განსვენებულის მთავარი ღვაწლისა, იმ ღვაწლისა, რომელსაც მთელის თავისი სიძლიერით უნდა გრძნობდეს ყოველი შეგნებული და მოწინავე ქართველი.

შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ არჩილ ჯორჯაძე ერთი იმ პიროვნებათაგანი იყო, აწ უკანასკნელ წლებში, რომელსაც განსაკუთრებულის ყურადღებით ექცეოდნენ მისი იდეიური მოწინააღმდეგენიც კი და რომლის სიტყვასაც გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს მთელი მოაზრე ქართველობა. ეს პატივისცემა აიხსნებოდა უპირველესად ყოვლისა მისი პირადი ღირსებებით. მაგრამ ძალა და მნიშვნელობა არჩილ ჯორჯაძისა გამოიხატება განსაკუთრებით იმაში, რომ მან პრინციპიალურ სიმაღლემდე აიყვანა ფორმულა ქართველ ხალხის ეროვნულ მისწრაფებისა და სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ერთგულადა და თავ-გამოდებით ემსახურებოდა მას.

საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე გვერდს ვერ აუხვევს იმ ისტორიულ პირობებს, რომლებშიაც მოუხდა მუშაობის დაწყება არჩილ ჯორჯაძეს. ეს ისტორიული პირობები გამოიხატება შემდეგში. იმ დროს, როდესაც არჩილ ჯორჯაძე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ერთი მეორის წინააღმდეგ იდგა ორი საზოგადოებრივი სულიერი განწყობილება. ჩვენ ვამბობთ სულიერ განწყობილებას, რადგანაც ის, რაც მაშინა ჰხდებოდა, ვერ შეგვიძლიან ჩავთვალოთ ვერც საზოგადოებრივი ორგანიზაციულ აზრის გამოხატულებად და ვერც წინასწარ გაზომილ მოქმედებად. ერთის მხრით თავად-აზნაურობა თავისი იდეოლოგიით და თავად-აზნაურულ ტრადიციებზე აღზრდილი ინტელიგენცია მიისწრაფოდა იმ გზისკენ, რომელიც საქართველოს ინდივიდუალურ სახეს უკარგავდა და საქართველოს განსაკუთრებულ ინტერესებს იმდენად სთქვეფავდა საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებში, რომ თითქმის აღარაფერი რჩებოდა. ფსიხო-

ლოგია დაიდეოლოგია ამნაირ საზოგადო მოღვაწეებისა მშვენიერადა აქვს დახასიათებული მთელ რიგს წერილებში თვითონ განსვენებულ არჩილ ჯორჯაძეს.

ეს ნაწილი საზოგადოებისა გატაცებული იყო რუსეთის იმპერიალიზმით და თვითონაც საქართველოს მომავალ ბედნიერებას ამ იმპერიალიზმის გაძლიერებაში ჰხედავდა.

ამ თაობის აზროვნებაში მშვენიერად თავსდებოდა ორი, ერთი მეორის დიამეტრალურად წინააღმდეგია ცნება ქართული პატრიოტიზმის, და რუსეთის იმპერიალიზმისა. რა თქმა უნდა ამნაირ ნიადაგზე აღმოცენებული ქართული პატრიოტიზმი უნიადაგო და ამასთანავე არისტოკრატიული იყო, უკეთეს შემთხვევაში კი—მხოლოდ რომანტიული. არსებობდა ეს ორმაგი აზროვნება მოწინავე წოდების გონებაში იმ დრომდე, სანამ მისმა საუკეთესო წარმომადგენელმა, დიმიტრი ყიფიანმა, ტრაგიკულად არ განიცადა მთელი სიმწვავე ამ ორმაგობისა თავის საკუთარ ცხოვრებაში. მაგრამ ეს ტრადიციები არ მომკვდარა. იგი განვითარდა და თავისი უმაღლესი გამოხატულება მიიღო დავით მელიქიშვილის ცნობილ აქტში, რომელმაც ერთბაშად შეარყია აზროვნება ინტელიგენციაში და მთელი თავისი სისასტიკით დაუყენა თვალ-წინ საბედისწერო საკითხი.

საქართველოს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ამ არისტოკრატიული პატრიოტიზმით არ განისაზღვრებოდა. საზოგადოების, ცოტად თუ ბევრად, ცოცხალმა ელემენტმა ამ არისტოკრატიულ პატრიოტიზმს დაუპირისპირა დემოკრატიული მისწრაფებანი და დემოკრატიული მამულიშვილობა. საუკეთესო წარმომადგენლები დასელებისა სწორედ ამით იყვნენ გატაცებულნი და ეპირისპირდებოდნენ არისტოკრატიულ ნიადაგზე აღზრდილ პატრიოტებს, როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული ელემენტები და ხალხის მესაიდუმლენი. ასეთი იყო ხასიათი დასელებისა. მაგრამ თანდათან დასელობამაც ფერი იცვალა და ცენტრალისტური ტენდენციები შეითვისა.

აი, ასეთ დროს, როდესაც ქართულ ეროვნულ გათვითცნობიერებას წინ ეღობებოდა, ერთის მხრით, ძველი ბიუროკრატიული რეჟიმი და, მეორის მხრით, ცენტრალისტური აზროვნება სოციალდემოკრატებისა, გაჩნდა წრე, რომელმაც იგრძნო საფრთხე და საფუძველიც ჩაუყარა ახალ საზოგადოებრივ მიმართულებას.

მოქმედების დაწყების გარეგან იმპულსად უნდა ჩაითვალოს ცნობილი აქტი დავით მელიქიშვილისა, რომელიც ზევითაც მოვიხსენიეთ. იგი გლოვის ზარივით გაისმა იმათ გულში, ვისაც ჯერ კიდევ არ დაეკარგა იმედები გამოცოცხლებისა და ვინც ღრმად იყო შეურაცყოფილი ამ აქტით.

ამ დღიდან დაწყებული ჩვენი საზოგადოების ნაწილისთვის ცხადი გაჰხდა, რომ ვერც არისტოკრატიულ-რომანტიული პატრიოტიზმი ძველი თაობისა და ვერც ცენტრალიზმი სოციალ-დემოკრატებისა საქართველოს ვერ იხსნის. არჩილ ჯორჯაძე ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელსაც კარგადა ჰქონდა ეს გათვალისწინებული, ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ აზროვნებას და პრინციპიალური მთლიანობა მისცა.

დემოკრატიზმი და ეროვნება, ანუ დემოკრატიული საქართველო, აი, ის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა მან თავის თანამოაზრეებთან ერთად და რომელმაც მალე მრავალრიცხოვანი თანამგრძნობი შემოიკრიბა. ეს ახალი ლოზუნგი დროული და მართალი აღმოჩნდა. დღეს თუ ქართველი საზოგადოება ისე შეითვისა საქართველოს ეროვნულ იდეალს, რომ უამისოდ საქართველოს მომავალი თითქოს ვეღარც კი წარმოუდგენია, ამაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც, საუბედუროდ, ასე უდროოდ გამოვვეცალა ხელიდან.

დაე, მომავალმა თაობამ მაინც დაუმტკიცოს მას, რომ ნაყოფიერ ნიადაგზე გადასროლილი თესლი თავის დღეში არ მოკვდება და ყვავილებს გამოიღებს. ეს საუკეთესო ხსოვნა იქნება გატანჯული მაგრამ მდიდარი შინაარსით სავსე არჩილის ცხოვრებისა.

არ. ჯ—შვილი.

# მშვიდობით ძმაო!

შენს წმინდა სამარის წინ თვალში მოგუბებული ცრემლი და ყელში მომდგარი ქვითინი სიტყვას არ მაძლევს.

ან და რა მეთქმის მაშინ, როდესაც ირგვლივ მარტო ორი გულშემზარავი სიტყვა გაისმის: „არჩილი დავკარგეთ“.

განა ითქმის რამ, როდესაც შვილი დედას ან მამას ჰკარგავს? განა ითქმის რამ, როდესაც ძმა ძმას, თავის თანამოაზრეს, პირში და ლხინში ერთგულს, ჰკარგავს? განა ითქმის რამ როცა მოწაფე ჭეშმარიტ მოძღვარს და წინამძღოლს ჰკარგავს.

სდუმს მხედარი და არ ისმის ნაღარა, როდესაც დიდებულ სარდალს მიწას აბარებენ.

მშვიდობით ძმაო, მშვიდობით მეგობარო, მშვიდობით ამხანაგო!

სამშობლო მიწა შენით აფხვიერებული ლბილ თივთიკად გადაგექცევა, ალერსით მოეხვევა თავის პირმშო შვილს და მის მკერდზე აბიბინებული გაზაფხულის ნორჩი მწვანე ნაზის ჰანგით დაჰმღერს და უჩურჩულებს: „შენი ნათესიც მალე აბიბინდება, გაიფურჩქნება, აჰყვავდება“.

მშვიდობით არჩილ!

ი. გედევანიშვილი.

# სული

(არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას).

უკვდავ-ქმნილი სული მზისა დროთ სივრცეში დასცურავდა,
სიცოცხლისა უხვად მფრქვევი აღსასრულის ბნელს სწურავდა,
ჟამთ კვარცხლბეკზე ცეცხლის მკვესი უკვდავების გვირგვინს წნავდა,
მაგრამ მოსწყდა დროთ-ბრუნვასა,—ისევ მზესთან დაბინავდა.

⁂

ჩუ, ქვითინი!.. ეს ვინ სტირის საქართველოს ტურფა ველზე?
მდელომ ფერი რად იცვალა გაზაფხულის ნარნარ ხელზე?
ტანჯულ დედას მარგალიტად რად ესკვნება ცრემლი ყელზე?..
— მხოლოდ სახე დაიმალა, ცხედარი ძევს სარეცელზე!

⁂

ვინც ხალხისთვის მუსიკობდა, ის სინათლით დაიფარა, —
სულმა სთრგუნა თვით სიკვდილი და სხეული დაიცარა,
ვაი დემონს, თუ საბრალომ მართლა გულით გაიხარა!..
სრულ-ყოფასთან შენაერთი ანგელოზად გაიპარა.

⁂

დრო გაივლის... დროთ სივრცეზე მოფრინდება ისევ ისა,
ხალხის ცრემლზე ნეტარებას ააფეთქებს შუქი მზისა, —
მომავლის წინ უკვდავებად გაიშლება მადლი ცისა:
სული მისი უკვდავია, სული სცოცხლობს სიცოცხლისა!..

ნ. ჩხიკვაძე.

# ჩვენო არჩილ.

### უღვთოდ იყო შენი სიკვდილი!..

„შენ ცვიანდერ'ი: არ შედრკეთ,
განთიადისკენ იარეთ,
ჭირი და ლხინი ერისა
შესვით და გაიზიარეთ!“

ბედნიერი ხარ, მკითხველო, თუ კი არა ხარ მგრძნობიარე და შენს ცხოვრებაში არ გამოგიცდია ისეთი ხანა, როცა უცბად და ანაზდეულად, სამუდამოდ ჰკარგავ შენ სათუთ გრძნობებთან შესისხლხორცებულ ადამიანს! მაშინ, სულიერად აფორიაქებული, თითქოს გულის უმთავრესი ძარღვი ჩაგწყდაო, მთელის არსებით ეშვები, დუნდები და ისეთ თავდავიწყებას ეძლევი, თითქოს დაგეკარგოს თვით მიზანი შენის არსებობისა...

სამშობლო ცაზედ კვლავ ჩამოიკრა სამგლოვიარო ზარი და მისი ყრუ, სულის მქეჯნავი ზუილი გაისმა კიდით-კიდემდის: ულმობელმა სენმა უდროოდ ხელიდან გამოგვგლიჯა სამშობლო მხარის კეთილდღეობის მისწრაფებისთვის თავგამოდებული მებრძოლი, ქართველი ერის სპეტაკ იდეალების მატარებელი, არჩილ ჯორჯაძე. ამ უღვთოდ და უდროოდ მოწყვეტილ სიცოცხლის ამბის გაგონებაზედ, რომელ შეგნებულ ქართველს არ ჩასწყდებოდა მგრძნობიერი სიმი გულისა და მწარე, მქეჯნავი სევდა არ მოიცავდა მთელ მის არსებას!

როცა გაითვალისწინებთ ხოლმე, ბურუსით მოცულს, მწარე სინამდვილეს ჩვენი ყოფისას და სულის სიმწარით ეძებთ გასავალს გზას,—უნებლიეთ და სასოებით თვალს აპყრობთ არჩილისთანა დარაჯად მდგომარეს და ჩირაღდანად დანთებულ პირს, გაფაციცებით უსმენთ იმათ საიმედო ხმას და მით ხალისი და შინაარსიც ეძლევა თქვენს ყოფას. მაგრამ ფართოა და გაუმაძღარი საზოგადოებრივ ასპარეზის მოთხოვნილება, სულ მეტსა და მეტს შუქსა და სიცოცხლეს მოითხოვს მეჩირაღდნეთაგან და, რაღა თქმა უნდა, მგრძნობიარე და ძალ-ღონის დაუზოგველი მუშაკი ვერ იტანს გადამეტებულ მოთხოვნილებას და ნახევარ გზაზედ იწვის, იფერფლება...

გინდ ზერელედ გადაავლეთ თვალი არჩილის ხან-მოკლე, მაგრამ დიად-ნაყოფიერ მოღვაწეობას, გაიხსენეთ მისი, ჯან-ღონით სავსე კაცისთვისაც აუტანელი, აჩქარებული შრომა, მაშინ როდესაც ულმობელ სენს ნახევარი დრო სარეცელზე ჰყავდა მიკრული და ის მაინც ეშურებოდა რაც შეიძლება მეტი გეეზიარებინა თვის ორ-მაგად დაავადებულ გულის ნადებიდან; გაიხსენეთ დასაბუთებული, საფუძვლიანი და დინჯი, ზრდილობიანი და მომხიბლავი კილო წერისა, აგრეთვე მთელი მისი მორიდებული ცხოვრება, სავსებით შეფარდებული მის სპეტაკ აზრებთან,—მაშინ ადვილად იგრძნობთ რამდენ საიმედო და დაუფასებელი საუნჯე დაჰკარგა ჩვენმა მხარემ და მოწიწებით მუხლს მოიდრეკთ უდროოდ გათხრილ მის სამარის წინაშე.

სამშობლო კერავ! მაგრად ჩაიკარ მკერდში და მადლობის ცრემლს ნუ დაიშურებ, შენ სამსხვერპლოზე ისეთი თავდაუზოგველობით შეწირულ, ახალგაზრდა შვილის ცხედარს, რომლის გულიც უკანასკნელ წუთამდე ასეთის გამალებით სცემდა შენს საკეთილდღეოდ. შენი ცრემლი იქნება ის უდიდესი ჯილდო, რის ნატამალიც საბრალოს არ განუცდია სააქაო ცხოვრებაში...

გ. ახალციხელი.

# ქართული პრესა

„კოლხიდის“ გუშინდელ ნომერშიაც იყო მოთავსებული რამდენიმე წერილი ჩვენი დაუვიწყარ ამხანაგის არჩილ ჯორჯაძის შესახებ.

**ვას. წერეთელი** ასე ათავებს თავის მგრძნობიარე წერილს:

„ნაყოფიერი, მდიდარი იყო შინაარსით არჩილის ხანმოკლე სიცოცხლე. ის ებრძოდა უმეცრებას, შეუგნებლობას, სოციალურ უსამართლობას მედგრად, გმირულად, თავგანწირულად. და იარაღი მაშინაც კი არ გაუგდია ხელიდან, როდესაც ულმობელმა, უკურნებელმა სენმა დაიმორჩილა, ლოგინად ჩააგდო.

სანთელივით თვითონ იწოდა და სხვას კი გზას უნათებდა. და მისი უკანასკნელი ნუგეში ის იყო, რომ ჰხედავდა ახალთაობის თანაგრძნობას. ამ თანაგრძნობამ ბედნიერი წამები აგრძნობინა, იმედით გაუთბო გული სიკვდილის წინ.

გრძნობდა, რომ მხოლოდ ხორცი კვდებოდა მისი, სული კი, ე. ი. მისი აზრი, იდეა, და საქმე უკვდავი რჩებოდა.

ჩვენთვის კი, მისი მეგობრებისთვის, ძნელია უმისობა.

შეუძლებელია მოვიქარვოთ მისი უდროოდ სიკვდილი.

შეუძლებელია შევურიგდეთ იმ უსამართლო ბედისწერას, რომელიც წყლულათ დააჩნდება თითოეულ ჩვენგანის გულს.

მაგრამ მანვე გვიანდერძა იმედი. და გვწამს, რომ მხოლოდ ხორცი მოკვდა მისი, სული კი უკვდავია, და საუკუნო იქნება ხსენება მისი“.

⁂

**ჯ. ჯორჯიკია**, სხვათა შორის, სწერს:

„გადამეტებით ნურავინ ჩამომართმევს, თუ ვიტყვი, რომ განსვენებული დაჯილდოვებული იყო ისეთი თვისებით, რომლისთვისაც ძველად ერი მოქალაქეს ბრძენს უწოდებდა. მან ფილოსოფიური თვალსაზრისით სინტეზი გაუკეთა მთელს ქართულ აზროვნებას. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოინახება ისეთი მაგალითი, რომ მწერლის ჯანმთელობას დაღი არ დაესვას მისი ნაწარმოებისათვის. მართლაც, მწერალი ადამიანი ვერ უძლებს ხორციელ ტანჯვას, თუ კი ეს მას ბედმა არგუნა, და, ამით გამწარებული, მთელ თავის აზრსაც შავი ბურუსით შეჰმოსავს. ამ შემთხვევაში განსვენებულმა ნამდვილი გმირული გრძნობა გამოიჩინა. რას წარმოადგენს არჩილის სიცოცხლე?

ტანჯვის სურათს, ადამიანი ებრძოდა სიკვდილს, ებრძოდა სენს, რომელიც უშხამავდა მას წუთებს, დღეებს. ასეთ განსაცდელში იყო ფიზიკური მხარე მისი არსებისა. რას წარმოადგენდა მისი სულიერი მხარე ამ დროს? მისი აზროვნება იყო ლაღი, მტკიცე, ჯანმრთელი, პროგრესის იმედითა და რწმენით სავსე. მას სწამდა საქართველოს შემოქმედი ძალა: ამ ადამიანმა უტყუარი გზით მთელს ქართველ ერს მაჯის ცემა გაუსინჯა და მტკიცედ, მკაფიოთ და გულწრფელად გვითხრა, რომ საქართველოს აქვს ძალა საკაცობრიო აზრთა სალაროში თვისი წვლილი შეიტანოსო. ასე გველაპარაკებოდა სიკვდილის კლანჭებში მყოფი ადამიანი! ახლა აღარა გვყავს იგი! უდროოდ დადუმდა მადლიანი ბაგე ნიჭიერი მოაზრისა. ადრე გადატყდა ნაყოფიერი კალამი პატიოსანი მუშაკისა. მოწიწებით ვეამბორები შენს გაციებულ შუბლს, **ადამიანო**“.

# სომხური პრესა

### არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო.

სომხურ გაზ. „მშაკის“ მე-64-ე ნომერში ბ. არტ. კასპარიანი შემდეგ სტრიქონებს უძღვნის ახლად გარდაცვალებულ პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძის ხსოვნას.

ვრცელი წერილი, რომელსაც სათაურად აქვს **„ისიც წავიდა“**, ამ სიტყვებით იწყება: „ძვირფასი არჩილი, ამხანაგებით გარს მოხვეული, გარდაიცვალა ღამის 11 ს. 35 წუთზე“... აი ის გულდამწველი სიტყვები დეპეშისა, რომელიც მიიღო „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციამ განსვენებულის ამხანაგებისაგან მარტის 22-ს, ბათომიდან.

არჩილ ჯორჯაძე... აი ერთი სახელი, რომელიც უნდა აღიწეროს ქართულ ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით. აი, პიროვნება, რომელმაც მრავალ წლების განმავლობაში უხელძღვანელა ქართველ ერის ერთ უდიდეს ნაწილის საზოგადო აზრს.

აი, ტიპი, რომელიც თავის მოღვაწეობის განმავლობაში ყოფილა ღრმად მორწმუნე თავის იდეებისა, მისდევდა მათ განხორციელებას შეურყევლად, სრულის იმედით, რომ ქართველ ხალხს ბრწყინვალე მომავალი აქვს. ამ უკანასკნელ შავბედითი წლების განმავლობაში ქართველებმა დაჰკარგეს მრავალი საჭირო ძალები. ისიც წავიდა...

მისი ცეცხლის მფრქვეველი, მოწინავე, ენაწყლიანი და ფრიად შინაარსიანი წერილები დღესაც არ აღმოშლილან ჩემის მეხსიერებიდან.

იქნება მათგან ზოგიერთებს მე არც კი ვეთანხმებოდე, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ისინი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე, ვინაიდან მათში არსებობდა რწმენის სიმტკიცე, ძლიერი შტრიხები, ურმესი რწმენა და დამარწმუნებელი კილო.

იგი იმსხვერპლა ულმობელმა ჭლექმა, 40 წლის ახალგაზრდა ასაკში, როდესაც მოღვაწეობის ენერგიით იყო აღსავსე“.

ამ სტრიქონების შემდეგ, წერილის ავტორს მოჰყავს განსვენებულის მოკლე ნეკროლოგი და წერილს ამ სიტყვებით ათავებს:

„დანაკლისი ძლიერ საგრძნობელია ქართველ ხალხისათვის, და ჩვენც უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ ქართველ მოძმეებს“.

# სამძიმრის წერილები და დეპეშები

### დეპეშები.

**პეტერბურგი.** თავზარდაცემული საქართველოს ერთი საუკეთესო და უუკეთილშობილეს შვილთაგანის სიკვდილით, ვინც მამულის კეთილი მომავლისთვის თვისი თავგანწირული ბრძოლით სამშობლო მხარეში მარადი მოგონება დასტოვა, ძმურ თანაგრძნობას ვუგზანი მეგობრებს ამ აუნაზღაურებელ დანაკლისის გამო. ჩვენს ერთად-ერთ ნუგეშად უნდა იყოს რწმენა, რომ დიდებული არა კვდება და ძვირფას არჩილის სული მარად იქნება მის საქმეთა და ყველას ხსოვნაში. გადახდილ იქნება პანაშვიდი კვირას.

სახ. სათ. წევ. გელოვანი.

**პეტერბურგი.** გიცხადებთ ჩვენს უგულითადეს თანაგრძნობას გამოჩენილ პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის უდროოდ გარდაცვალების გამო.

აკაკი ჩხენკელი, კარლო ჩხეიძე.

**ბერლინი.** თქვენთან ერთად ცხარე ცრემლით დავსტირი ძვირფას მასწავლებლის კუბოს.

გერონტი ქიქოძე.

**ჰეიდელბერგი** (გერმანია). გულ დამწვარი ვგლოვობ ძვირფას მეგობრის, არჩილ ჯორჯაძის დაკარგვას.

მიხაკო წერეთელი

**ლეიპციგი** (გერმანია). დამწუხრებულნი და დაობლებულნი ვგოდებთ. დავკარგეთ ერის გუშაგი. ერო, სტიროდე შენს მოამაგეს. ვინღა შეგიხვევს მწუხარეს აწ წყლულს? ერო, სტიროდე შენს ჭირისუფალს შენთვის წამებულს, შენთვის დაკარგულს.

შანშიაშვილი, აბაშისპირელი, ხუნდაძე, თოფურიძე, ჯაფარიძე, რუხაძე, დათეშიძე, მგალობლიშვილი, მარგველაშვილი.

**ადესა.** სამწუხარო ამბავმა არჩილის გარდაცვალებამ გული დაგვწყვიტა. სამშობლოსთან ერთად ვტირით საუკეთესო მოქალაქის დაკარგვას, რომელიც თავისი ძლიერი კალმით განამტკიცებდა ქართველ საზოგადოებრივობას.

დაპატიმრებული ქართველი სტუდენტები.

**პეტერბურგი.** ვიზიარებ მთელ საქართველოს სევდას. მტკიცედა მრწამს, რომ ერი, რომელმაც არჩილ ჯორჯაძე დაჰბადა, მოიპოვებს საკმაო ძალას და გმირობას იმ იდეათა საბოლოო გამარჯვებისთვის, რასაც არჩილმა ასეთი თავგანწირულებით შესწირა თვისი ახალგაზდა სიცოცხლე.

ნინო გელოვანი.

**ხარკოვი.** აგრონომ ქართველ სტუდენტთა ჯგუფი გულწრფელად გლოვობს ქართულ პუბლიცისტიკის ერთ დედა ბოძის, არჩილის უდროოდ დაკარგვას. დაე მისგან დაწყებული საქმე განვითარდეს სიღრმით და სიგანით.

სტუდენტები.

**ხარკოვი.** დავტირი არჩილს, რომელმაც საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ახალი ხანა შეჰქმნა.

უზნაძე.

**ბალახანი.** ოდნავად დამშვიდებულნი ბათომიდან მოსული ამბით, რომელმაც ნათელის იმედობით ფრთები შეგვასხა, დღეს კვლავ დაგვლონდით სასტიკი და თავზარდამცემი ცნობით. მოკვდა ჩვენი დინჯი, მაგრამ სულით ძლიერი არჩილ ჯორჯაძე; აღარა გვყავს ჩვენი საზოგადოებრივი აზრის და ეროვნულ გრძნობათა გამომფხიზლებელი. ფრიად დიდია და მძიმე დანაკლისი, დიადია ჩვენი სევდაც.

ექიმი კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

**ჭიათურა.** წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება ჰგლოვობს საქართველოსთვის ძვირფას არჩილის დაკარგვას.

**პეტერბურგი.** სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ქართველი სტუდენტები, შეწუხებულნი იმ ადამიანის დაკარგვით, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს სამსახურს შესწირა, იზიარებენ ქართველ ერის დიად მწუხარებას.

ნიკოლოზ ყიფშიძე.

**ხარკოვი.** გულწრფელად ვიზიარებთ ქართველი საზოგადოების აზრის მწუხარებას, რომელმაც დაჰკარგა თვისი მიხაილოვსკი—არჩილ ჯორჯაძე, მასწავლებელი - მებრძოლი ეროვნულ და სოციალურ აღორძინებისათვის, ვინც მრავალ წლის განმავლობაში პატიოსნურ დარაჯად იდგა მშვენიერს საყარაულოზე.

ვანო ლორთქიფანიძე, ჩერქ,ხიშვილი, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, ნინო პოლაძე, გოგია ლასხიშვილი, ვალერიან ახვლედიანი, ნემსაძე, სიხარულიძე, ყანჩაველი, მოსიძე, მარო მუმულია, ბარათაშვილი, ავალიშვილი.

**პეტერბურგი** გუშინ დეპეშამ მოულოდნელი და საშინელი ცნობა მოიტანა—არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალება. ღრმად ვგლოვობთ და გულწრფელად დავტირით ჩვენს სამშობლოსათვის მძიმე დანაკლისს. საქართველომ დაჰკარგა თვისი ერთი საუკეთესო შვილი. ვუგზავნით გულწრფელ თანაგრძნობას განსვენებულის მეგობრებს და ნათესავებს.

პეტერბურგის ქართველთა სათვისტომო.

**მოსკოვი.** მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა კულტურულ წრის კრება, თავზარდაცემული საქართველოს საუკეთესო შვილის არჩილის დაკარგვით, უერთებს ქართველ ერის გლოვას თვის გრძნობებს.

წრის მდივანი ვეშაპიძე.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის სატექნოლოგო ინსტიტუტის სტუდენტები სამშობლოსთან ერთად დასტირიან თვალსაჩინო პუბლიცისტი არჩილ ჯორჯაძის უდროოდ გარდაცვალებას. იგი იყო პირველი დამწყები და მედგარი დამცველი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ იდეალებისა. მისი სპეტაკი წმინდა აზრები იქნება ჩვენი განმანათლებელი და გამამხნევებელი.

ივანე ბერიძე, გრიგოლ აბაშიძე, შალვა ხმალაძე, გიორგი მგელაძე, გიორგი ნიკოლაძე, არჩილ ქართველიშვილი და გიორგი ავალიანი.

**ადესა.** ადესის ქართველი სტუდენტობა თვის სევდას საერთო ეროვნულ მწუხარებას უერთებს ყველასთვის საყვარელ არჩილის, ერის საუკეთესო შვილის დაკარგვის გამო, რომელმაც დიადი სამსახური დასდო ეროვნულ თვითცნობიერობის განმტკიცებას.

**ხარკოვი.** ხარკოვის ქართველთა სათვისტომო ღრმად გლოვობს უბადლო, პატიოსან პუბლიცისტის და იშვიათ საზოგადო მოღვაწის არჩილის დაკარგვას. მოწიწებით ვიდრეკთ ქედს საზოგადოებრივი სინდისის ბრწყინვალე გამომხატველის ნეშთის წინაშე.

გამგეობა.

**ოზურგეთი.** ქალაქ ოზურგეთის ინტელიგენტთა ჯგუფი, რწმენის განურჩევლად, ქართველ ხალხის ეროვნულ გლოვას უერთებს თვის მწუხარებას ცნობილ პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების გამო.

**ქუთაისი.** როგორ შეეჩვია ყური მისი ყოველ ახალ სიტყვის, ახალი აზრის მოსმენას! როგორ შეეთვისა, დაუნათესავდა ჩვენი სული იმის სულს! აღარა გვყავს. ვინ შეავსებს ჩვენი ლიტერატურის დიდ სიცარიელეს? ვინ გაჰკურნავს ჩვენი გულის ღრმა ჭრილობას?

კაუხჩიშვილის ქალთა კერძო გიმნაზია.

**სიღნაღი.** შეიერთეთ ჩვენი მეგობრული სევდა უბადლო არჩილის დაკარგვის გამო. მან პირველმა გვიჩვენა ქართველი ეროვნული ცხოვრების ერთად-ერთი სწორე გზა, რასაც საკაცობრიო იდეალებთანაც მიჰყავს.

სიღნაღის თანამ აზრეთა ჯგუფი.

**ბაქო.** ღრმად თანაუგრძნობთ ძვირფას სამშობლოს, რომელმაც საუკეთესო შვილი დაჰკარგა.

ელიაშვილი.

**ქუთაისი.** ქუთაისის ქალაქის გამგეობა მთელ საქართველოს საერთო მწუხარებას იზიარებს ნიჭიერ პუბლიცისტის და იშვიათ, პატიოსან მშრომელის არჩილ ჯორჯაძის დაკარგვის გამო. თავისი მან ახალგაზრდული ძალ-ღონე მრავალ-ტანჯულ სამშობლოს სამსახურს შესწირა.

**ქუთაისი.** ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურენი უერთდებიან ქართველ ერის საერთო გლოვას, რომელმაც უდროოდ დაჰკარგა უბადლო მოამაგე არჩილ ჯორჯაძე, სპეტაკი პატიოსნების ადამიანი, ეროვნულ ინტერესების საუკეთესო მებრძოლი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე სათაყვანო სამშობლოს სამსახურს შესწირა.

**ხარკოვი.** დავტირით ძვირფას არჩილის უდროოდ დაკარგვას. მის სახით დავკარგეთ ეროვნულ თვითცნობიერების საუკეთესო მასწავლებელი.

ხარკოვის სტუდენტები: აბულაძე, არსენაშვილი, დუბელაძე.

**ტფილისი.** ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოება, მთელ მოწინავე ქართველობასთან ერთად, გლოვობს სამშობლო კულტურის გულწრფელ, პატიოსან და დაუღალავ მუშაკის უდროოდ დაკარგვას.

თავმჯდომარე ყორღანია.

**ქუთაისი.** საუკეთესო მამულიშვილის და ახალგაზრდობის სულის ჩამდგმელის უდროოდ დაკარგვას გლოვობენ.

ქუთაისის წმინდანინოს სასწავლებლის მოწაფე ქალები.

### წერილები.

**„სახალხო გაზეთის“ რედაქციას.**

ვსტირი ძვირფასი არჩილის დაკარგვას და თქვენც თანაგიგრძნობთ უზომო მწუხარებით. თქვენ არჩილის სიკვდილით დიახაც რომ დაჰკარგეთ საოცარი მხნეობის და დაუშრეტელი ენერგიის მქონე მესვეური. ხალხს მოაკლდა იშვიათი ადამიანი და მოქალაქე, თავდადებული სამშობლო ქვეყნის აღორძინებისათვის.

ვლ. დარჩიაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

ტფილისი მუხრანის ქუჩა სტამბა, „შრომა“